წელიწადი მეცხრე.—№ 421

პარასკევი, 3 მაისს 1874.

გაზეთის ფასი

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მ.ნ., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

ხელის-მოწერა

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: წვრილი ამბები—ნეკროლოგი „დროების“ კორრესპონდენცია: ახალციხიდგან—ქუთაისიდგან—წიგნი რედაქტორთან—რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: შავი მთა—ესპანია—ნ ა რ ე ვ ი—განცხადებანი.

ფ ე ლ ტ ო ნ ში: ოთხმოცდა ცამეტი, ვიქ. ჰიუგოსი.

### განცხადება
### თფილისის სავაჭრო ბანკისა

თფილისის სავაჭრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი 11 იანვრიდგან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

**იღებს**

1.) სესხზედ იმ სარგებლიან ქაღალდებში,

ა.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ:

სამი თვით . . . . . . . . . 6 %

ექვსი თვით . . . . . . . . . 7 %

ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ:

სამი თვით . . . . . . . . . 7½ %

ექვსი თვით . . . . . . . . . 8 %

2.) სპეციალურს ხელად მიბარებულ ფულში, სარგებლიანი ქაღალდებით და ვექსილებით უზრუნველ-ყოფილს . . . . . . . . 7 %

3.) ვექსილების დაცვლაში:

სამი თვით . . . . . . . . 8 %

ცრა თვით . . . . . . . . 8½ %

4.) საქონლის გირაოში:

რომელიც მოტანილია . . . . . . 9 %

რომელიც გზაშია . . . . . . . 10 %

**იხდის**

1.) ხელად მიბარებულ ფულში . . . 5 %

2.) შესანახად მიბარებულში

ა.) მოთხოვნამდის . . . . . . . . 5 %

ბ.) ექვსი თვით. . . . . . . . 5 %

გ.) ერთი წლით . . . . . . . . 6 %

დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში — სამმართველოსთან მორიგებით.

სამთავნოდ შესანახი ფული მიიღება: ყველა კერძოობითი პირისაგან, მოვაჭრე საზოგადოებათაგან და კამპანიებისაგან, ეკკლესიებისა და მონასტრებისაგან, სახაზინო და საზოგადოებრივს დაწესებულებათაგან,—ას მანეთზედ არა ნაკლები.

ბანკში შენახული ფულების ბილეთები, ფინანსთ-მინისტრის განკარგულების თანახმად, ყველა სასამართლოებში და სახაზინო სამმართველოებში იჯარისა და შეკრულობის გირაოდ მიიღებიან: უვადო და ექვს თვემდის ვადიანი—მანეთი მანეთად და ერთის წლის და მეტის ხნით ვადიანი—ცოტა ნაკლებათ. ფოჩტით გამოგზავნილს შესანახს ფულს შემდეგი განცხადება უნდა მოჰყვეს:

**ВЪ ТИФЛИССКІЙ КОММЕРЧЕСІЙ БАНКЪ**

От такого-то

**ОБЪЯВЛЕНІЕ**

Препровождая при семъ столько то рублей, прошу принять эту сумму на вкладъ для обращенія изъ процентовъ на такой то срокъ (или до востребованія, или на такихъ то условіяхъ) и выслать билетъ на мое имя или на имя токого то, или на предъявите-(ля,) по такому то адресу.

Число, мѣсяцъ и годъ. Подпись и мѣстожительство.

## წვრილი ამბები

— ამ გაზაფხულს ჩვენში უნდა მოვიდნენ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორები სრედინსკი და უფ. ბრუნი. პირველს უნდა განაგრძოს რიონის ჭალის მცენარეობის შესწავლა, რომლისათვისაც ის შარშანაც ჩამოვიდა იმერეთში. მეორე პროფესორი ჩვენი ქვეყნის არქეოლოგიური შესწავლისათვის მოდის. ამისათვის იმას სურს რიონის მარჯვნივ მდებარე იმერეთის ნაწილი, სამეგრელო და ზღვის ნაპირები მოვლოს.

— „კავკაზს“ გაუგონია, რომ სტამბოლიდგან აქეთკენ რამდენიმე სწავლული სომეხი და გერმანიელი მოდის თურმე, რომ არქეოლოგიურად გამოიკვლიონ ოსმალეთის სამფლობელოს ნაწილი აზიაში. იმათ სურთ ტრაპიზონიდგან არზრუმისაკენ გამგზავრება, მერმე ასურასტანის ქალაქს ნინევიამდის მისვლა და აქიდამ დაბრუნებული ჩვენსკენაც უნდა შემოიარონ ერევნის გუბერნიაში და ბოლოს ახალციხით ბათუმს მივიდნენ.

— უმთავრესი სამმართველოს უფროსის კანცელარიაში დღესასწაულების წინ ხელმოწერა იყო გამართული იმათთვის, ვინც ჩვეულებრივი ვიზიტისაგან განსათავისუფლებლად რასმე შესწირავდა კეთილმოქმედებითი საქმეების სასარგებლოდ. „კავკაზი“ აცხადებს, რომ ამ ხელმოწერით ორას ორმოცს

# ფელტონი

## ოთხმოც-და-ცამეტი

რომანი

ვიქტორ ჰიუგოსი

### კ ო ნ ვ ე ნ ტ ი

(კონვენტი ერქვა იმ ხალხის წარმომადგენლების კრებას (პარლამენტს), რომელმანც 22 სექტ. 1792 წელს დააფუძნა საფრანგეთის პირველი რესპუბლიკა და მოკვეთა გილიოტინით თავი საფრანგეთის მეფეს ლუი მეთექვსმეტეს. ოთხი წლის განმავალობაში კონვენტმა გამოსცა ახალი კანონები, შეადგინა ახალი კონსტიტუცია და დაიფარა საფრანგეთი შარეშე და შინაგანი მტერებისაგან). ს. მ.

ჩვენ მთის წვერს უახლოვდებით.

აი, კონვენტი.

კონვენტი რომ დაარსდა, პირველად იმაზედ დაიწყეს ლაპარაკ, თუ სად უნდა დაეწყო იმას სხდომები.

პირველად მანეჟი ამოირჩიეს, მერე ტუილრის სასახლე, რომელსაც ეხლა „სახალხო სასახლე“ ერქვა. აქ დააწყეს სკამები, გამართეს ორატორებისთვის ტრიბუნა, მხატვარმა დავიდმა შეამკო იმის კედლები და ჭერი; ტრიბუნის ზევით წითელი ქუდი იყო; თავს მჯდომარეს უკან უშველებელი ძეგლი ქალისა, ბაირაღით ხელში; ეს ძეგლი თავისუფლების წარმომადგენელია (ემბლემაა). ერთს კედელზე დიდის ასოებით აწერია: „კაცის უფლება“....

ვინც კრებას ხედავს, ზალა ავიწყდება. ვინც დრამას ხედავს, თეატრი ავიწყდება. აქ იბრძვიან, აქ ლაპარაკობენ, ჰყვირიან, ერთმანეთს ემუქრებიან. ეს ლომების ბრძოლაა.

მარჯვნივ „ჟირონდელების“ პარტია, მოაზრეთა დასი. მარცხნივ „მთიელები“—გროვა დევებისა.

„ჟირონდის“ მხრით არიან: ბ რ ი ს ს ო, რომელმანც ჩაიბარა ბასტილიის სატუსაღოს გასაღებები; ბ ა რ ბ ა რ უ, ჟ ა ნ ს ო ნ ე, ბ ა დ ე, რ ა ბ ო-ს ა ნ-ე ტ ი ე ნ ი, ფ ო შ ე, ი ს ნ ა რ, რომელმანც სთქვა, რომ „პარიჟში ქვა-ქვაზე აღარ დარჩებაო,“ დ ი უ პ ო ნ, რომელმანაც პირველმა დაიყვირა, რომ „მე ატეისტი ვარო, ლ ა ზ უ რ ს, ბ ი უ ზ ო, ფილოსოფოსი კ ო ნ დ ო რ ს ე, პ ე ტ ი ო ნ და ბევრი კიდევ სხვანი და ბოლოს ყველა ამათი მოთავე ბ ა რ ნ ა ვ ი.

მეორე მხრით „მთიელები“. აქ სხედან: ოცდა სამი წლის ახალგაზდა ს ა ნ ჟ უ ს ტ ი, ფერ-მიხდილი, სწორი პირისახიანი და დარდიანი თვალებით; მ ა ნ უ ე ლ, ბ უ ჟ ო ნ, გამოჩენილი ეპისკოპოსი გ რ ე გ უ ა რ ი; ა მ ა რ, რომელმანც სთქვა: „მთელ-დედა-მიწა ამტყუვნებს ლუი XVI; ვინ უნდა გაასამართლოს? ზეციურმა მნათობებმა?“ შ ე ნ ი ე, ა.-ანდრეს ძმა; ლ ე ჟ ა ნ დ რ, რომელსაც რევოლიუციის ყასაბს ეძახოდნენ, „მ ო დ ი, შეგჭამოო!“ დაუძახა ამან ლანჟუინეს. „ჯერ ბრძანება გამოეცი, რომ მე ხარათ გადვიქციეო,“ უპასუხა ლანჟუინემ; დ ა ვ ი დ—გამოჩენილი მხატვარი, კ ა მ ბ ა ს ა რ ე ს, რ ე ვ ბ ე ლ და ბევრნი სხვანი, და იმათი მოთავე — დ ა ნ ტ ო ნ ი.

შუაში უფერული, უაზრო პარტია „მინდორი“, რომელიც საითკენაც ძალა იყო, იმისკენ იწევდა.

და ყველა ამ პარტიებს გარეშე ამაღლებულია ერთი კაცი—რ ო ბ ე ს პ ი ე რ ი....

ამ ზალაში ისხდნენ ის რვა დეპუტატი ზემო-ჟირონდისა, რომელთაც როცა ლუი XVI-ს ასამართლებდნენ, ერთი ხმით დაიძახეს: „სიკვდილი მაგასო!“, ისინი იყვნენ პაგანელი, ოგუსტან-ბონ რობესპიერი, ფუსედარ, სან-ანდრე, ტელიე, მილლო.

ამისთანა იყო კონვენტი. სადაც ტრაგედიაა, იქ შიშსა და შებრალებას ადგილი არა აქვს.

იმ დროს, როდესაც ლუი მეთექვსმეტეს სიკვდილი გარდაუწყვიტეს, რობესპიერს თვრამეტი თვის სიცოცხლე ჰქონდა კიდევ, დანტონს—თხუთმეტი თვის, ლეპელტიეს ერთი თვისა....

## ნაწილი მესამე

### ვ ა ნ დ ე ში.

დოლ პატარა ქალაქია ვანდეში. უკაცრავად, ქალაქი კი არა, ეს ქუჩაა. ერთი დიდი ქუჩა, მარჯვნივ და მარცხნივ აშენებული სახლებით შეადგენს დოლის ქალაქს. უკედლო და უკარებო ქალაქი მტერს ვერ გაუმაგრდება; მაგრამ ქუჩა კი ცოტა ხანს მაინც გაუძლებს თავზე დასხმულ მტერსა; ყოველი სახლი ციხის მაგიერობას იზამს.

წინა ღამეს „თეთრები“ (მეფის მომხრეები—ვანდეელები) დაეცნენ დოლს და იერიშით აიღეს. მეორე დილას „მტრედის ფერები“ (რესპუბლიკელები—რევოლიუციური მმართებლობის (კონვენტის) ჯარები მოადგნენ დოლს. კარგი საომარი ადგილი იყო და არ უნდოდათ ერთმანეთისთვის დაეთმოთ. ამათი ძალა თანასწორი არ არის: „თეთრები“ ექვსი ათასი კაცია, „მტრედის ფერები“ კი მარტო ათას ხუთასი. „თეთრების“ ჯარი სულ გლეხებისგან არის შემდგარი, ყოველ სალდათს ქუდზედ თეთრი ლენტი აქვს მიკრული; „მტრედის ფერები“ უფრო გაწვრთნილი ჯარია, იმათ მამულისა და თავის უფლების სიყვარული აძხნევებს, ყველა სალდათს სამფერი კაკარდა აქვს ქუდზე. „თეთრების“ სარდალი მოხუცებული კაცია, „მტრედის ფერების“ ახალგაზდა. ერთის მხრით მარკიზ ლანტენაკია, მეორეს მხრით ლანტენაკის ახალგაზდა ძმის წული—ვიკონტ გოვენი. ერთი ძველი, გამოცდილი და თავის მეფის სასარგებლოდ თავგანწირული მეორე ახალგაზდა რევოლიუციონერი, მხნე, მამაცი:.

დაიჭირა თუ არა ლანტენაკმა დოლ, იმ წამსვე წაიყვანა რამდენიმე არტილერიის აფიცრები და წავიდა ქალაქსგარეთ საომარი ადგილების დასახედავათ. ჯარი კი ერთ აფიცარს ჩააბარა, რომელზედაც უფრო იმედი ჰქონდა. ის დარწმუნებული იყო, რომ რესპუბლიკელები ვერ გაბედავდნენ იმასთან მიახლოვებას, რადგან ცოტანი იყვნენ; დოლში გამაგრებას აპირებდა და მერე იქიდამ სხვა გარშემო სოფლელების და ქალაქების აღებას.

დოლისაგან რომ დაბრუნდა ლანტენაკი, ზარბაზნის ხმა მოესმა; ცოტა რომ მოახლოვდა, ქალაქის პირდაპირ მაღლა კომლი დაინახა, შენიშნა, რომ ქუჩაზე გაცხარებული ომი იყო გამართული. ცხადია, რომ ომიაო, ჰფიქრობდა ლანტენაკი; მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო მეომარი, იმას ვერ წარმოედგინა. რა საკვირველია, რომ გოვენი თავის 1500 კაცით 7000 კაცზე დასხმას ვერ გაბედავდა. ეს იმის მხრით სისულელე იქნებაო! ლანტენაკმა ჰკრა ქუსლი ცხენს და გაუჩქარა. გზაზე შემოხვდნენ დოლიდამ გამოქცეული დაფეთებული გლეხები, რომელნიც ჰყვიროდნენ „მტრედის ფერები! მტრედის ფერები!“

აი, როგორ მოხდა ეს ამბავი.

ლანტენაკის დაღალული ჯარი მივიდა თუ არ დოლში, გამხმარი პურით ივახშმეს და მიეყარნენ დასაძინებლად, ვინც საცა კი ალაგი იშოვა. იმათ მშვიდობით მოსვენების იმედი ჰქონდათ. თვითონ ლანტენაკიც ქალაქს გარეთ წავიდა სხვა ალაგების დასახედავათ.

ამ დროს მოადგა დოლს გოვანი, თავის მხნე რესპუბლიკელებით. შორიდამვე შენიშნა, რომ ქალაქში მყუდროობა იყო, მაშ ალბათ ჯარს სძინავსო. მხედრული სისწრაფით მოახდინა იმან განკარგულება; ზარბაზნები ზედ ქუჩის დასაწყისში დააყენა, ჯარი დაარიგა და დაუწყო ქალაქს გაცხარებულად ზარბაზნების სროლა. მიძინებულ გლეხებს უეცრად გამოეღვიძათ, დაეფეთნენ, დაიწყეს ყვირილი: „დაგვხოცესო“ და მოქუსლეს. ამ დროს ლანტენაკიც გაჩნდა. იმის მოსვლამ გაამხნევა „თეთრების“ ჯარი. დააყენეს ზარბაზნები ჩამოეფარნენ სახლებს და დაუწყეს სროლა. ისინი მეტნი იყვნენ, ზარბაზნებიც ერთი ათად მომეტებული ჰქონდათ. ლანტენაკი დადგა ერთ ზარბაზანთან და პირ და პირ გოვანს უნიშნებდა; ერთხელ ქუდი მოგლიჯა ყუმბარით, მეორეთ კინაღამ გულში მოარტყა. „არა უშავსო“ სთქვა გოვანმა როდესაც თავის სალდათები აფრთხილებდნენ. ცოტა ხანს შემდეგ გოვანმა შეატყო, რომ ასე ადვილად არ იქნება გამარჯვება და ქალაქის აღება. ამის გამო იმან შემდეგი ოინი იხმარა:

მეზარბაზნეებს და ჯარს განკარგულება მისცა

და რვა მანეთი შეიკრიბა, რომელიც წმინდა ნინოს საზოგადოებას გარდაეცა ტფილისის საქალებო სასწავლებელში ყმაწვილების ასაზრდელად.

—21 აპრილს პეტერბურღის უნივერსიტეტში დანიშნული იყო ბაასი, რომელზედაც კანდიდატს ალ. ცაგარელს უნდა დაეფარა თავისი თხზულება „ქართულ გრამმატიკებზედ.“ ჩვენ უთუოდ წიგნს მივიღებთ ამ ბაასის შესახებ, ძანემდის კი თვითონ ხსენებულს თხზულებაზედაც ვერაფერს ვიტყვით, რადგანაც ავტორს დაუზარებია, ან დავიწყებია, ან იქნება საჭიროდაც არ დაუნახავს თავისი თხზულების იმ ქვეყანაში და იმ კაცებთან გამოგზავნა, რომელთაგანაც ავტორს უფრო მომეტებული თანაგრძნობის იმედი უნდა ჰქონოდა, ვინემ გერმანიელებისაგან, რომელნიცამგვარს თხზულებას მარტო იმ ხალისით უყურებენ, როგორათაც ექიმები გასაჭრელ სხეულს. იქნება ავტორს იმისი ეშინოდა, რომ იმისი თხზულება ჩვენში ამ გვარს ხალისს ვერ შეეყრებოდა; მაგრამ ჩვენ რომ სრულიად მოკლებულიც ვყოფილვიყავით ამ გვარ ხალისს, მაშინაც გულ-აყრილი არ უნდა ყოფილიყო ჩვენზე ავტორი, რადგანაც იმისი თხზულება ჩვენში სულ სხვა გრძნობას შეჰხვდებოდა, რომლის მსგავსს გერმანიაში ლამპრითაც ვერ იპოვის.

## ნეკროლოგი.

ამ წლის მარტის 25-ს მოაკლდა ერთი წევრი ჩვენს სასოფლო საოჯახო საზოგადოებას. 1822 წელში ჩამოვიდა ჩვენს გურიაში ერთი მგზავრი ინგლისელი, უ. მარრი, უკანასკნელის გურიის მთავრის მამიას დროს და რადგანაც ძლიან მოეწონა გურია, თავისი მშვენიერი ბუნებით შემკული, მოინდომა და სამუდამოთაც გადასწყვიტა მოცდა. მისი პროფესსია, აგრონომია იყო და ეს ხელობა ამ მდიდარ გურიის ბუნების ნიადაგზე ნაყოფს გამოიღებდა და სარგებლობას მოგვიტანდა. გურიის მთავარმა, როგორც დაინახა ინგლისელის რჩევა სასარგებლოდ საოჯახო გაუმჯობესობის შესახებ, გადაუდვა რამდენიმე ქცევა მიწა სამუშაოთ და მისცა მოხერხებისა გვარად საშუალება, რომ დაეწყო თავისი ხელობა. საქებია უ. მარრი იმაში, რომ როცა ჩვენს ქვეყანაში ჩამოთესლებულმა სხვა ტომის კაცებმა, ისარგებლა ჩვენი ხალხის უმეცრებით და სიბრიყვით, ბარბაროსულად მოიქცნენ და იქცევიან, მარრი კი ამ მხრით საქებად მოიქცა: იმას მთავარმა მამიამ შეაძლია რამოდენიმე კომლი კაცი კუთვნილი ადგილ-მამულებით, მაგრამ, როგორც პატიოსანმა და სინიდის გაწმენდილმა კაცმა დამშვიდებით უარყო და უპასუხა: „მე სინიდისი და მრთელი ჭკუა ნებას არ მაძლევს, რომ ჩემსთანა კაცები მე მონებათ მყავდესო; მე თვითონ ის მაწუხებს და სამწუხაროდ მოვიგონებ, რომ ჩემი თანა მემამულე ინგლისელები კაცების დამონებისათვის უბრალო სისხლს ღვრიდნენ ამერიკაშიო.“

მთელს გურიაში მარრი ძლიერ პატივცემული იყო და ყველა პატიოსან და სასარგებლო კაცად იცნობდა· მარრის მუშაობით და მის მზრუნველობას ქვეშ იყო რამდენიმე წელიწადს ქუთაისის ჭერმა და ბულვარი. მარრის მოქმედებით იყო გაწყობილი ოზურგეთში გვარიანი ბაღი, რომელიც დროთა ცვალებისა გამო მხოლოდ ველს დაემსგავსა ეხლა. ის ცდილობდა, რომ ყოველ გვარი ჩვენთვის სასარგებლო სხვა ქვეყნის მცენარე გაეშენებია ჩვენში და ამ ცდაში და ნიადაგს ძებნაში ბევრი დრო დაეხარჯა იმას. საზოგადოთ, ჩვენ, გურულებმა არ უნდა დავივიწყოთ ეს კაცი, რომელმანც აგრონომიიდგან ბევრი მაგალითი გვიჩვენა და რაც შეძლებოდა ჩვენს მოუხერხებელს და უთავბოლო ცხოვრებასთან, შეგვაჩვია მეურნეობაზე დაკვირვებას. უკანასკნელი მოხუცებულების წელიწადები განსვენებულმა ოზურგეთში გაატარა თავადი გრიგოლ გურიელისას და უეცარი გაცივების გამო მოგვტაცა სიკვდილმა ეს სასარგებლო 95 წლის მოხუცი. დიდი პატივის ცემით მიასვენეს იმის პირველი მეუღლის, ესპანიელის მადამ შაგუნდას, საფლავზე, სოფელს ციხეს, იმისმა შვილებმა და ერთობით სოფლელებმა მთავრისგან ნაბოძებს თავის გაშენებულს ადგილში. ეს მარრი გახლდა მამა, მადამ ფაერისა, რომელიც შარანცოვის დროს საქალებო ზავედენიის გამგებელი იყო ტფილისში.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ს. აჭალა, 29 აპრილს 1874 წ.

წუხანდელმა ავდარმა მეტად აზარალა ქვემო და ზემო აჭალა. ზემო აჭალას სეტყვამ თითქმის მთლად გააფუჭა ვენახები და ხეხილსაც ფოთოლი აღარ შეარჩინა. ქვემო აჭალას რამდენიმე სახლობა ნიაღვარმა თითქმის კინაღამ ამოახრჩო და ვენახები სრულად შლამით და მინდვრის ნაგავით აამსო. ეს მეორე აჭალის უბედურება სრულიად ბუნების ბრალი არ არის, არამედ საკუთრად რკინის გზისაგან მოხდა. წინათ წუხანდელს წვიმაზედაც დიდი წვიმები ყოფილა, მაგრამ ქვემო აჭალაში თავის დღეში მთების წყალს არავისთვის უზარალებია, ეს წყალი პირდაპირ მტკვარში ჩადიოდა. რკინის გზისათვის მიწა თითქმის ერთ საჟენამდის ამაღლებულია, ამას არა აქვს დატანებული იმ ზომის გასავალი ადგილები, რომ წყალი თავისუფლად გაიდეს; ამისგამო შეკავებული წყალი მოაწვა სოფელს, ორი ვენახი სრულიად გააფუჭა, ორი ქვრივის სახლი ჭერამდის გაავსო, ასე რომ თუ ღამე ყოფილიყო უეჭველად ამოიხრჩობოდა შიგ მყოფი ხალხი. ყოველ მხრიდამ მოეშველა ხალხი, როგორც იყო გადაარჩინეს საცოდავი ქვრივები თავიანთი წვრილფეხობა ობლებით. რაიცა შეეხება ვეეჯულებსა და [illegible] ჯერაც შლამში დაფლულია და მათი პატრონები უნუგეშოთ მშიერნი სხედან. ერთი მათგანი პურის გამომცხობი იყო და ამითი სცხოვრებდა. წარმოიდგინეთ ამის საცოდაობა ტიტველ-შიშველი და მშიერი ხუთი ობოლი. როგორც შევიტყე, ესენი და ვენახის პატრონები ტფილისში წასულან საჩივრად, რომ ეს უბედურება თავის დღეში არ მოსვლიათ, თუმცა ათჯერ ამაზედ მეტი ავდრები ყოფილა და ეს მხოლოდ რკინის გზამ უყო იმათ ნაწვიმარი წყლის გზის შეკვრით. იმედია, რომ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ ზარალს აზღვევინებენ რკინის გზის კამპანიას და ეალად დასდებენ, რომ ნაყარ მიწას საკმაო წყლის გასასვლელი გაუკეთოს.

X.

ქუთაისი, 23 აპრილს 1874 წ.

თქვენის გაზეთის № 417-ში დაბეჭდილია უფ. დ. თუქანოვის კორრესპონდენცია, რომელშიაც ის სწერს ქ. ქუთაისის დეპუტატების ამორჩევაზედ. ამ კორრესპონდენციაში მოხსენებულია, რომ ანტ. ლორთქიფანიძემ უთხრა მოქალაქეებს, რომ „ქალაქის დეპუტატები ჩვენი მოურავები არიანო და ჩვენ მათი ბატონებიო“. მე არ გარდავესთქვამ იმას, რომ ჩემს სიტყვაში, რომლითაც მე მივიქეცი ქუთაისის მოქალაქეებთან, არ მეხმაროს სიტყვა „მოურავები“, „ოჯახის პატრონები“, მაგრამ ეს სიტყვები იყო თქმული როგორც შედარება და მე მარტო ის ფრაზა რომ მეთქვა, რომ დეპუტატები ჩვენი მოურავებიათქო, მაშინ ჩემს სიტყვას არა თუ არაფერი მნიშვნელობა არ ექნებოდა, არამედ სასაცილოც გამოვიდოდა. სიტყვა, რომელიც მე ვჰსთქვი დეპუტატების ამორჩევის დღეს, იყო შემდეგი: „ჩვენ, ქ. ქუთაისის მცხოვრებნი, ვირჩევთ დეპუტატებს, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ძე როგორც ვატყობ და როგორც ფაქტები გვიმტკიცებს, არც ჩვენ ვიცით, რა თანამდებობა არის დეპუტატობა და არც ჩვენძა ამორ-

---

რომ რაც უნდა დამართოდათ, ალაგიდამ არ დაძრეულიყვნენ და თოფ-ზარბაზნის სროლა არ შეეწყვიტათ; თვითონ კი ამოარჩია რვა კაცი, რომელიც უფრო მხნედ და თავგამომეტებულად მიაჩნდა, ყველას დოლი (ბარაბანი) და თოფები მისცა ხელში, ჩუმათ მოუხვია ქალაქს და გასწია. გაცხარებული ბრძოლაა. ნახევარი საათი კიდევ და ლანტენაკი გაიმარჯვებს; გუვანის ჯარის მდგომარეობა ძალიან საშიშო და საფიქრებელია. გუვანმა თავის რვა კაცით დაუხვია თავი ქალაქს და ლანტენაკის ჯარს და უეცრად ზურგიდამ გაუჩინა ცეცხლი და გაახშირებინა დოლის კვრა. ამ დროს გუვანის ჯარმაც გამოსწია წინ საშინელის სისწრაფით და ზარბაზნის სროლით. ლანტენაკი და იმის ჯარი დაფთხა; იმათ ეგონათ აუარებელი ჯარი დაგვეცა ზურგს უკან თავზეო, ორ ცეცხლს შუა ვართ ჩამწყვდეულიო; ერთი გრიალი, არეულობა შეიქნა. გუვანის რვა კაცმა გაახშირა დოლის კვრა, იმის წინა ჯარი ქუჩაში შემოვიდა და უახლოვდება ლანტენაკს. ერთმა გლეხმა დაიყვირა. „ორ ცეცხლს შუა ვართ! თავი იხსენით, ვისაც შეგიძლიათ!“ შვიდი-ათას კაცმა ერთად იგრიალა და გამწარებული გაიქცნენ უკან. ლანტენაკის ბრძანებამ ვერ გააჩერა ისინი. ძაღლი პატრონს ვერ იცნობდაო, სწორეთ ისეთი მდგომარეობა იყო....

ამნაირად ქალაქი დოლი, ბევრი დაჭრილები, „თეთრების“ ბევრი თოფ-იარაღი და რამდენიმე ზარბაზანი გუვანის ხელში იყო.

მარკიზ ლანტენაკი დაღონებული სახით უყურებდა თავის ჯარის დამარცხებას და გაქცევას. ის უკანასკნელი გავიდა დოლიდამ. სთქვა: როგორც ეტყობა გლეხები ვერ უშველიან ჩვენ საქმეს; ინგლისელები გვჭირიან.

---

ცოტა ხანს შემდეგ გუვანი დაიარებოდა ბრძოლის ველზე და ათვალიერებდა დაჭრილებს. ერთს კუთხეში იმან შენიშნა ერთი ლანტენაკის დაჭრილი სალდათი, რომელიც სისხლით იწურებოდა. ცალხელში ამ მომაკვდავს დამბაჩა ეჭირა და მეორეში ხრმალი. გუვანი მიახლოვდა და უთხრა:

— დამიმორჩილდი... შენ ჩემი ტყვე ხარ.

— გაუმარჯოს მეფესო! დაიყვირა მომაკვდავმა, შეკრიფა უკანასკნელი ღონე, ლომის სისწრაფით წამოდგა ზეზე, დაუმიზნა დამბაჩა გუვანს პირ და პირ გულზე და მოუქნია ხრმალი. ამ დროს, თითქოს მანქანების ძალით, ამ ორ კაცს შუა გაჩნდა ერთი ცხენოსანი. დამბაჩის ტყვია ამ ცხენოსნის ცხენს მოხვდა მუცელში და მოქნეული ხრმალი თვითონ იმას პირის-სახეზე. ცხენი იმ წამსვე მოკვდა, ზედ მჯდომი გადმოვარდა და პირქვე დაეცა გულ-წასული. მოვიდნენ გუვანის ხალდათები და ექიმი. ნახეს ჭაღარა თმიანი, მოხუცებული ცხენოსანი.

— ვინ არის ეს ჩემი სიკვდილისაგან მხსნელი კაციო? იკითხა გუვანმა. იმას ვერავინ იცნობდა. ეტყობოდა კი, რომ ეს უცნობი ერთ დროს პატრი ყოფილა. ექიმმა თქვა: უბრალო ჭრილობა არისო; რვა დღეში სრულიად მორჩებაო. დაჭრილი წაიყვანეს ერთ სახლში და დააწვინეს.

— იქნება რამე ქაღალდები ჰქონდესო? იკითხა გუვანმა. დაუწყეს ძებნა. უნახეს პორტფელი. რომელშიაც ერთი ოთხად გაკეცილი ქაღალდი იდო. გუვანმა გადაშალა და წაიკითხა: „კომიტეტი საზოგადო დაცვისა. მოქალაქე*) სიმურდანი...“ გუვანმა უნებურად დაიყვირა: სიმურდან! დაჭრილმა გაახილა თვალები. გუვანი დაეცა მუხლებზე იმის წინ და დაიყვირა.

— ჩემი აღმზრდელი!

— შენი მამა, სთქვა სიმურდანმა.

გუვანი მალე მოშორდა დაჭრილს, რადგან იმას მოსვენება სჭიროდა. ის გავიდა მეორე ოთახში, სადაც ის სალდათი მოეყვანათ, რომლის ტყვიისა და ხრმლისაგან ის სიმურდანმა დაიცვა.

— დაჭრილი ხარო? ჰკითხა იმას გუვანმა

— ისე კარგათა ვარ, რომ დახვრეტას მოვითმენო უპასუხა სალდათმა.

— დააწვინეთ ლოგინში ეს კაცი და კარგათ მოუარეთო, უთხრა თავისიანებს გუვანმა.

— მე სიკვდილი მინდა.

— შენ იცოცხლებ. შენ მეფის სახელით უნდა მოგეკალი, მეკი რესპუბლიკის სახელით შენთვის სიცოცხლე მომინიჭებია.

*) პირველი რევოლიუციის დროს ყოველივე შთამომავალობითი ხარისხი მოსპობილი იყო და ყველას „მოქალაქეს“ ეძახოდნენ.

ს. მ.

უთხრა გუვანმა. ეს მუსაიფი სიმურდანს ესმოდა, იმან მოლუშა წარბები.

---

რამდენიმე კვირის შემდეგ, ფუჟერის მხარისაკენ მხოლოთ ორ კაცზე ლაპარაკობდნენ, რომელნიც, თუმცა ერთმანეთის წინაამდეგნი იყვნენ, მაგრამ ორივე ერთი და იმავე საქმისთვის—რევოლიუციის გასამარჯვებლად—შრომობდნენ... ეს ვანდეის მხარე თითქმის სრულიად დამშვიდებული იყო რესპუბლიკელებისაგან... აჯანყებულები იშვიათად ჩნდნენ.

მაგრამ საქმე იმაში იყო, თუ როგორი რესპუბლიკა გაიმარჯვებდა; აქ ორი რესპუბლიკისა წარმომადგენელი იყო: დამფთხობი, შეუბრალებელი რესპუბლიკისა და შემბრალე, გულ-ჩვილი რესპუბლიკისა. პირველს წარმოადგენდა სამოქალაქო დელეგატი—სიმურდანი და მეორეს ჯარის უფროსი, სამხედრო დელეგატი—გუვანი. სიმურდანი იმისთვის იყო გამოგზავნილი რესპუბლიკური მმართებლობისაგან, რომ გუვანზე თვალ ყური დაეჭირა, რომ ის შეუბრალებელად მოქცეოდა ყველა აჯანყებულ ვანდეელებს და საზოგადოთ რევოლიუციის მოწინააღმდეგებს; იმას მინდობილი ჰქონდა რევოლიუციური მმართებლობისაგან „შეუბრალებლად, დაუზოგველად“ მოქცეოდა არა თუ მარტო რევოლიუციის მოწინააღმდეგებს, არამედ იმათაც, ვინც იმათ შეიბრალებდა. ერთს მოწინააღმდეგების დაფრთხობით, გილიოტინით უნდოდა ახალი წესების დამყარება, მეორეს შებრალებით, კაცობრიული გრძნობითა და გულ ჩვილობით.

— სადა ვართ ეხლა ჩვენ? ჰკითხა ერთხელ სიმურდანმა თავის შაგირდს გუვანს.

— თქვენც კარგა იცით, უპასუხა გუვანმა. ლანტენაკის ჯარი დავამარცხე და გავფანტე. მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩენილა, რომელნიც ფუჟერის ტყეში არიან. ორ კვირაში ყველას დავიჭერ.

—მერე?

— ჩემი განცხადება ხომ წაგიკითხამთ? დავხვრეტ.

— სხვებს რათ აპატიე?

— მოხუცებულებს, დედაკაცებს და ბავშვებს მე არ ვკლავ.

— სამასი დატყვევებული გლეხი რომ განათავისუფლე?

— გლეხები უმეცრები არიან, არ იციან რას ჩადიან. ლანტენაკმა იცის, რას შვრება.

— ლანტენაკი შენი ნათესავია?

— საფრანგეთი უფრო დიდი ნათესავია.

— ლანტენაკი მოხუცებულის.

— ლანტენაკს ხნოვანობა არ ეკითხება. ლანტენაკს ინგლისელების მოყვანა უნდოდა საფრანგეთის დასასხმელად. ლანტენაკი სამშობლოს მტერი და მოღალატეა, ჩემსა და იმას შუა ბრძოლა ან ჩემი და ან იმის სიკვდილით უნდა გათავდეს.

— გუვან, კარგა დაიხსომე ეგ შენი სიტყვა.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, გუვანმა სთქვა:

— ამ 1793 წელიწადს ჩვენს ისტორიაში სისხლით შეღებულ დროს დაუძახებენ,

— უფრთხილდი, დაიძახა სიმურდანმა. ნუ ამტყუნებ იმას, რისიც გამტყუნება არ შეიძლება.... რევოლიუციას მარჯვე, მხნე გულის პატრონი კაცების დახმარება სჭირია. ის მოცახცახე, სუსტ ხელს არ იკარებს. დანტონი—თვით განხორციელებული საშინელებაა, რობესპიერი—შეუბრალებლობა, მარა—დაუზოგველობა. უფრთხილდი გუვან, ეს სახელები ეხლა ჯარზე უფრო ძვირად ღირან ჩვენთვის. ისინი ევროპას აფრთხობენ.

— იქნება მომავალსაცო, სთქვა გუვანმა დაფიქრებით.

—უფრთხილდიო, მესამედ უთხრა სიმურდანმა... შვილზე უფრო ძვირფასად მიმაჩნიხარ... ისეთს დროში, როგორშიაც ჩვენ ვცხოვრობთ ეხლა, შებრალება ხანდისხან ღალატზე უარესია.

---

ფუჟერის ტყეში ამაღლებულია ერთი იმ ძველებურ, რაინდულ სასახლეთაგანი, რომელთაც საშუალ საუ-

ჩვულმა დეპუტატებმა იციან მათი მოვალეობა. რადგან დღეს ჩვენ მოწოდებული ვართ დეპუტატების ახლო არჩევათ, ამისათვის მე ურიგოთ არ ვსთვლი მოგახსენოთ რამოდენიმე სიტყვა ამ საგანზედ. ქალაქის დეპუტატები არიან ქალაქის წარმომადგენელნი პირნი, რომელთაც მიენდობა ქალაქის საქმეების გამგეობა. არც ერთი საქმე, არც ერთი საგანი, რომელიც კი შეეხება ქალაქს, არ უნდა იყოს დაფარული ქალაქის დეპუტატებისაგან. ყოველი ქალაქის ანგარიში მინდობილი აქვთ ქალაქის დეპუტატებს მცხოვრებლებისაგან. ყოველმა დეპუტატმა არამც თუ უნდა იცოდეს ქალაქის ანგარიში, ქალაქის შემოსავალ-გასავალი, არამედ მათს პირდაპირს მოვალეობას შეადგენს ის, რომ არც ერთი კაპეიკი ქალაქის არ დაიხარჯოს მათ შეუტყობლად და გარდაუწყვეტელად. მაგრამ საქმე სხვას გვიმტკიცებს. ჩვენი დეპუტატები იმას გვეუბნებიან, რომ არა ვიცით რა, რა ჩავიბარეთ, რომ ისევ დაგიბრუნოთო და ანგარიში მოგცეთო. ამისათვის მე საჭიროდ ვრაცხ, მინამ ჩვენ დეპუტატებს ამოვირჩევდეთ, მოვთხოვოთ ჩვენს ძველს დეპუტატებს ანგარიშები. ამ ანგარიშების შეტყობის მერმე თუ ვსცნობთ ჩვენ რომ ჩვენი ქალაქი შეძლებულია, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ჩვენის ქალაქის სიმდიდრით ბევრნაირად ვისარგებლოთ და ჩვენი დაცემული მდგომარეობა გავაუმჯობესოთ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ესე იგი თუ აღმოჩნდა, რომ ჩვენი ქალაქი ღარიბია, მაშინ საჭიროა, რომ ზოგიერთი, არა მიუცილებელი საჭიროებანი დავთმოთ და მით ხარჯი შევამოკლოთ. ქალაქი ამ შემთხვევაში წარმოადგენს ერთს დიდს შეძლებულს ოჯახს. ქალაქს ჰყავს თავისი საქმეების და მამულებისმმართველები, გამგებლები და დეპუტატები, როგორც დიდს შეძლებულს ოჯახს ჰყავს ვექილები, მმართველები და მოურავები. ჩვენ მოქალაქეებთან ისეთი დამოკიდებულება აქვთ დეპუტატებს, როგორც მოურავებს იმ ოჯახის პატრონებთან, რომლის მამულის მართვა იმათ აქვს მინდობილი. ყოველს შემთხვევაში, ჩვენ, მოქალაქეებმა, უნდა ვიცოდეთ ჩვენი ქალაქის ანგარიში. იქნება ჩვენმა დეპუტატებმა სახელოვანათ აღასრულეს თავიანთი მოვალეობა თავისიჭკვიანური და დიდი სიანიმომჭირნეობით; მაშინ ჩვენ ვალდებული ვართ მათი პატიოსანი საზოგადო სამსახური დავაფასოთ და ვაჯილდოოთ ისინი ჩვენის მადლობის გამოცხადებით. იქნება და ჩვენმა ამორჩეულმა დეპუტატებმა ნაცვლად თავიანთი მოვალეობის აღსრულებისა წაახდინეს ქალაქის საქმეები თავიანთი [illegible] და უპატიოსნობით. მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით მივმართოთ მმართებლობას და ვითხოვოთ, რომ ეს ჩვენი მოღალატე კაცები დასაჯონ, შეარცხვინონ და სხ. და სხ. ესენი ყოველივე, რაც მოგახსენეთ, საჭირო არის აიხსნას დეპუტატების ამორჩევამდი და დეპუტატების ამორჩევას კი მოვეწრობით.“ ეს და სხვა რამოდენიმე სიტყვები, რომელიც ახლა არ მახსოვს, უთხარი მე ქუთაისის მოქალაქეებს. ქუთაისის მოქალაქეებმა ჩემგან თქმული სიტყვებში ნახეს ის აზრები, რომელნიც იმათ დიდი ხანია სურდათ წარმოეთქვათ. მაგრამ მე კი არა, მთელს ქალაქის საზოგადოებას ერთბაშათ რომ წარმოეთქვა ზემოხსენებული აზრები, მაშინაც არაფერი გამოვიდოდა თურმე, როგორც გავიგე ერთის დეპუტატისაგან. თურმე ახლანდელს დეპუტატებს არაფერი ანგარიშის მოცემა ვრცელად არ შეუძლიათ, რადგან არც ერთი კაპეიკი არ არის დახარჯული მათის გარდაწყვეტილებით და არც ერთს გარდაწყვეტილების ქაღალდზედ არა აქვთ მათ ხელი მოწერილი. ერთს დეპუტატს კი განუცხადებია სურვილი, რომ კონტროლი ყოფილიყო დანიშნული ყოველს ქალაქის შემოსავალზედ და ხარჯზედ; მაგრამ პირმა, რომელთანაც იმან მიიქცა, უთხრა: მე თითონ ვარ კონტროლიო. გაჩუმდა ჩვენი დეპუტატი და გულში კი იფიქრა შენ რომ ხარ კონტროლი, მისთვის ვართ ჩვენ კოტრიო.

ვმადლობთ უფალ თუმანოვს, იმ ცნობებისათვის, რომელიც იმან გამოაცხადა გაზეთში; მაგრამ ამას კი ვიტყვით, რომ უ. თუმანოვს ნახევარიც არ სცოდნია ჩვენი ქალაქის ამბები. ჩვენ ბევრი საინტერესო ცნობები გაგვიგონია ქუთაისზედ, მაგრამ ჯერ ჯერობით ვერ ვაცხადებთ, რადგან ნამდვილი დამტკიცებები არ გვაქვს ხელში. მაგრამ ესეც უნდა ვთქვათ, რომ ყოველს ციფრებზედ და ანგარიშებზედ უკეთესი დამტკიცება ქუთაისის დაგლახაკებისა არის ახლანდელი ქუთაისის მდგომარეობა. ქუთაისს ახლა ის [illegible] არა აქვს რომელიც ქონდა რამდენიმე წელიწადია მას აქეთ. თუმცა მდიდარი არც მაშინ იყო ქუთაისი, მაგრამ ასრე დაგლახაკებული, ასრე დანგრეული და ასრე დავალიანებული ქუთაისი თავის დღეში არ ყოფილა. ჩვენს ახალს ხიდს, თითქმის ვალით აშენებულს ყოველს დღეში, ზედი ზედ, რომ ვიანგარიშოთ, შემოაქვს 30 მანეთი. (ცხენის გაყვანაზედ ორი კაპეიკი არის ბაჟი) სად იხარჯება ეს ფულები, კაცმა არ იცის. ჩვენ ნამდვილი ამ საქმეზედ არა ვიცით რა. კერძო პირებისაგან გავიგეთ, რომ ვითომც იმ ვალის, რომელიც ჩვენ ამ ხიდის ასაშენებლათ ავიღეთ და რომლის დასაკმაყოფილებლათ იყო დაწესებული ზემოხსენებული ბაჟი, იმ ვალის ჯერ ერთი კაპეიკი არ გასტუმრებულა.

ჩვენ, ქალაქის მცხოვრებნი ურჩიეთ ქალაქის ქუჩების შემკეთებელს მოიჯარეს, რომ ჩვენ, გარდა იმ გარდასახადისა, რომელიც ახლა გვხდება სახლის პატრონებს, ვიხდით კიდევ ხუთას თუმნამდე და ქუჩები მაინც არ ვარგა და არც კეთდება, და მოიჯარე, კი როგორც ამბობენ ჩვენვე გვიჩივის, რომ სამყოფს ქუჩების შეკეთებელს ფულებს არ მაძლევენო და ქუჩები რითი შევაკეთოთო.

ადრე ჩვენი ქალაქი ამაყობდა თავისი ბულვარით. ახლა ეს ბულვარი წარმოადგენს დამპალს, ბაყაყებით ამოვსებულს ქაობს, რომელიც ქალაქს დაუჯდა ათას თუმანზედ მეტი (ნამდვილი კი არ ვიცი რა დაჯდა) და რომელიც არამც თუ ამშვენებს ბულვარს, არამედ ვნებაც მოაქვს, ასრე რომ, როგორც გავიგეთ, ქალაქის ექიმის ყურადღებაც მიიქცია და თუმცალა კი ამოსწმინდეს დამპალი თხრილები, მაგრამ სუნი მაინც საშინელი დგას ბულვარში და უეჭველია, რომ ამ სუნს თავისი გავლენა ექნება. რასაკვირველია ერთი ასი თუმანი, ან ცოტა ნაკლები, ამ თხრილების ამოწმენდასაც მოუნდებოდა. (ას თუმანზე ნაკლები ქალაქს არასფერში არ ეხარჯება; ის სუმმა გადაჭრილია). ხიდები, რომელნიც აერთებენ ბულვარს და პატარა ათას თუმნიანს კუნძულს, რომელსაც გარემემო უვლის დამპალი თხრილები, ახლა სულ ჩამტვრეულია, ასე რომ ორი კაცი მათზედ ერთათ გასვლას შიშობს.

წარჩინებულმა მწერალმა გეინემ სთქვა, რომ ყოველს კაცს ნება აქვს თავისთვის იმდენათ იყოს სულელი და უგუნური, რამდენათაც თვითონ სურსო, მაგრამ არა კაცს ნება არა აქვს, რომ თავისი სისულელით სხვას ავნოსო. ეს ჭეშმარიტებაა. ჩვენი ბულვარის დამთრხელებს ნება აქვთ, რომ თავიანთი მამულები დათხარონ, გააფუჭონ და თუნდ დაკარგონ, მაგრამ იმათ არა აქვს ნება მთელი ქალაქის უკეთესი მამული გააფუჭონ ისე, რომ ყოველს დღეს ვნება და ხარჯი მოქონდეს პატრონისათვის. სისულელე ყოველთვის სისულელეა; მაგრამ ოცჯერ მეტი სისულელეა ის, როცა შეგიძლიან გაასწორო შენი სისულელე და არ ასწორებ. არასფერი სირცხვილი არ არის და ჩვენც ქალაქის მცხოვრებლებიც ძალიან მადლობელი ვიქნებით, რომ ათას თუმანს, რომელიც დახარჯეს ამ ტლაპოების ამოთხრას ასი თუმანი კიდევ დაამატონ და ბულვარი უწინდელს მდგომარეობაში მოიყვანონ. ამასთანავე მიუცილებელი საჭიროება არის, რომ ბოლო მოუღონ და თავი დაანებოთ იმ შავდლ-ს დაწყებულს წყლის გამოსაყვანს მილებს, რომელიც ხუთი წელიწადია კეთდება და არა ეშველა რა და თუმცა ლა водопроводъ-სკი ეძახიან, მაგრამ წყალი იქიდგან თავის დღეში არ ამოვა და რომ ამოვიდეს, მაინც დიდი შეძენა არც მაშინ იქნება ქალაქისათვის. ნაცვლად ამისა, უმჯობესია, ეცადოს ქალაქმა დააკმაყოფილოს მრავალი უპირველესი საჭიროებები, რომელზედაც მას ჯერ არც კი უფიქრნია.

ჩვენ ამ შენიშვნით არ ვათავებთ ქუთაისზედ საუბარს. როგორც უწინ ვსთქვი, ჯერ ჯერობით ნამდვილი და საბუთიანი დამტკიცებები არა გვაქვს ხელში და მისთვის მეტს ჯერ ვერას გწერთ

ანტ. ლორთქიფანიძე.

## კორრესპონდენციის დასამატად.

დასტურ, ამ ხანებში ქუთაისის სცენის სასარგებლოთ იყო აქ ერთი კონცერტი და ერთი ქართული წარმოდგენა. ვიტყვით რამოდენიმე სიტყვას პირველზედ. უმთავრესი ყურადღება პუბლიკამ მიაქცია უ. ვას. ბეგიძის სიმღერას. უ. ვას. ბეგიძე დასტურ მოვლინება იყო ყველა იმ კონცერტში მონაწილეებთან შედარებით. ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ უფ. ბეგიძეს ძალიან მაღალი ხმა ქონდეს; მაგრამ ეს ხმა ისრე აქვს შემუშავებული და ისეთი სასიამოვნო არის, რომ პუბლიკა დიდათ სიამოვნებდა უ. ვ. ბეგიძის სიმღერით. უფ. ბეგიძემ აღასრულა პუბლიკის თხოვნა და რამოდენჯერმე განიმეორა ერთი და იგივე რომანსები. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ უ. ბეგიძე იმღეროდა უშველებელს გრძელს ზალაში, რომლის კარები დაფრილი იყვნენ და ხმა გარეთ გადიოდა, მაშინ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ სხვა მდგომარეობაში უ. ბეგიძეს შეუძლია დიდათ ასიამოვნოს თავის სიმღერით, არამც თუ ქუთაისის, არამედ სხვა საზოგადოებაც, რომელიც ჩვენზედ უფრო დაჩვეულია კარგი სიმღერის გაგონებას. საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ უ ბეგიძე, რომ არ ერიოდა ამ კონცერტში, იმ კონცერტს კონცერტის სახელი არ დაერქმეოდა. ამასთანავე არ შეგვიძლია გავჩუმდეთ უ. ასკოჩენსკის სიმღერაზედ, რომელმაც დიდათ ასიამოვნა რომელიმე ნაწილი იქ მყოფი საზოგადოებისა. უ. ასკოჩენსკიმ იმღერა ერთი არია გლინკის ოპერიდგან (жизнь за царя). თუ უ. ასკოჩენსკის სიმღერამ შთაბეჭდილება არ მოახდინა საზოგადოებაზედ ეს მისთვის, რომ უფროსს ნაწილს პუბლიკისას თავის დღეში არ უნახავს გლინკის ოპერა, რომლის სიმშვენიერე მხოლოდ მაშინ შეიძლება იგრძნოს კაცმა, როდესაც თავიდგან ბოლომდის რამდენჯერმე გაიგონებს მთელს ოპერას. დასტურ, რა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა მსმენელებზედ უფ. ასკოჩენსკის, ფრაკში და თეთრ ხელთათმანებში გამოჭიმულს, იმ არიის სიმღერით, რომელსაც რუსის გლეხი სუსანინი იმღერის დიდს უდაბნო ტყეში, სადაც იმან შემოიტყუა პოლშელები, რომელთაც სურდათ მოეკლათ სუსანინის ხელმწიფე.—აი ეს არის ჩვენი აზრი ამ ორს მომღერალზედ. სხვაზედ კი ვერ ვიტყვით ვერაფერს კარგს. ქალების ხორო კიდევ, როგორც იყო ვარგოდა და სხვა კი ღმერთმა შეინახოს.

მაგრამ ჩვენ ყველაზედ უფრო გაგვაკვირვა უ. შავროვმა. მე ჩემს დღეში არ მინახავს უფეხო მწევარი, უხელო მუზიკანტი და უთვალო მხატვარი, მაგრამ მე კი ვნახე სრულიად უხმო მომღერალი—ეს იყო უფ.

---

კუნოებში ასე ხშირად ნახავდა მოგზაური და რომელთ ნაშთს ალაგ-ალაგ დასავლეთ ევროპაში ეხლაც შეხვდებით. ფუჟერის ტყის სასახლე, რომელსაც სახელად ტურგ ჰქვია და მარკიზ გუვანებს ეკუთვნოდა სხვა იმ გვარ სასახლეებს ჰგავდა. ეს იყო უშველებელი სამ ეტაჟიანი სახლი ისეთ ნაირად გამაგრებული, რომ მტრის გაძლება შესძლებოდა. ეს იყო პატარა ციხე და შიგ შემწყვდეულები დიდ ხანს გაუმაგრდებოდნენ მტერს, თუ კი სურსათი არ შემოაკლდებოდათ.

მას აქეთ რაც უკანასკნელ გუვანს დედ-მამა დაეხოცა და იმის ბიძა ვანდეს ასაჯანყებლად წავიდა, ამ სასახლეში კაცი არა სჩანდა და სრულებით მიყრუებული იყო.

ეხლა ამ ტურგის სასახლესთან განსაკუთრებული მოძრაობა და აურებელი ხალხია. რა ამბავია? ტურგში შემწყვდეულა უკანასკნელი გუნდი ლანტენაკის ჯარისა. სასახლეს გარშემო ოთხი ათასი გუვანის ჯარი შემოსევია. ტურგში ლანტენაკია გამაგრებული ცხრამეტი კაცით. გარშემო ოთხი ათასი რესპუბლიკელი ჯარი მოუთმენელად მოელის იმ კაცის ხელში ჩაგდებას, რომელმანც ამდენი არეულობა მოახდინა ვანდეში, რომელიც მგელივით, შეუბრალებლად ხოცავდა ყველას, ვინც მეფისა და პატრების თაყვანის მცემელი არ იყო. ლანტენაკი და იმის ცხრამეტი კაცი დარწმუნებულნი არიან, რომ მტერს ვერ გაექცევიან და სიკვდილი არ შორდებათ; მაგრამ ასე ადვილათ დამორჩილებას არ აპირებენ: იმათ გაამაგრეს სახლი, ყველას სასროლი იარაღები გტენილი და დამზადებული აქვსთ, ყველას ხმალი უჭირავს ხელში, ყველა მზათ არის სასიკვდილოთ, მაგრამ თავის სიკვდილთან უნდათ, რაც შეიძლება მომეტებული მტერიც მოჰკლან.

---

სასახლის სახურავიდამ ბუკის ხმა მოისმა; ეს იმის ნიშანია, რომ დამწყვდეულებს ლაპარაკი უნდათ. გუვანმა დოლი დააკრევინა. ზევიდამ შემდეგი სიტყვები მოისმა: „ჰეი,“ კაცებო! გამიგონეთ, მე თქვენ მარკიზ გუვან-დე-ლანტენაკის სახელით გელაპარაკებით. იცოდეთ, რომ მარკიზ ლანტენაკმა, სანამ აქ მობრძანდებოდა, ჯეროვანი განკარგულება მოახდინა სხვა ალაგებში ბრძოლის გაგრძელებისთვის; ყველგან საიმედო სახლები და კაცები ჰყავს დაყენებული. ასე რომ იმის დატუსაღებით და მოკვლით თქვენ ვერას მოიგებთ ეს კარგათ უნდა გაიგოთ.

„ეხლა თქვენ საიერიშოთ ემზადებით. მარკიზ ლანტენაკი, მამა ტჰურანს და ჩვენ ყველას ცხრამეტ კაცს, რომელნიც აქა ვართ დამწყვდეული, ერთი რამა გვაქვს თქვენთვის სათქმელი, კარგათ გაიგონეთ ჰეი, თქვენ, ვინც ქვემოთ ხართ:

„ჩვენ სამი ტყვე გვყავს; ეს ის სამი ყმაწვილია, რომელიც ერთმა თქვენმა ბატალიონმა იშვილა, ისინი თქვენია და ჩვენ თანახმა ვართ, რომ დაგიბრუნოთ. მაგრამ ერთის პირობით: თუ ჩვენც ნებას მოგვცემთ, რომ ხელ-უხლებელად გამოვიდეთ აქედამ და საცა გვინდა, იქ წავიდეთ.

„თუ თქვენ არ მიიღებთ ამ ჩვენ წინადადებას, მაშინ იცით, როგორ მოვიქცევით? კარგათ გაიგონეთ: ჩვენ დავიღუპებით, მართალია, მაგრამ ჩვენთან ის თქვენი ბატალიონის სამი შვილიც დაიღუპება. ჩვენ წაუკიდებთ ცეცხლს ამ სახლებს კუპრი დამზადებული გვაქვს; კუპრიდამ იმ ადგილამდი, საცა ყმაწვილები არიან აბედია გაყოლებული და იცოდეთ, რომ როგორც ჩვენი უკანასკნელი ჟამი მოვა, მე აბედს ცეცხლს მოუკიდებ და თქვენი ნაშვილევი სამი ყმაწვილი ამ სახლში გამოიწვის.

„ეხლა როგორც გერჩიოსთ, ისე გადაწყვიტეთ: გინდათ მიიღეთ ჩვენი წინადადება. გინდათ უარი სთქვით.

„თუ მიიღებთ, ჩვენ წავალთ.

„თუ უარს იტყვით, ყმაწვილები მოკვდებიან.

„მე გავათავე.“

მაღლიდამ მოლაპარაკე კაცი გაჩუმდა.

— ჩვენ უარსა ვართ! მოისმა ძირიდამ ერთი ხმა.

— ოცდა ოთხ საათს ვადას გაძლევთ! მოისმა მეორე ხმა. ხვალ ამდრომდი თუ არ დაგვმორჩილდით, ჩვენ იერიშს დავიწყებთ.

პირველი ხმა სიმურდანის იყო, მეორე გუვანისა.

---

ამ დროს, როდესაც ეს ამბები ფუჟერის ტყეში და ტურგის სასახლესთან ხდებოდა, მიშელ ფლეშარი, სამი ყმაწვილის დედა, რომელიც, თუ ახსოვს მკითხველს, ბრძოლის ველზე ნახა მათხოვარმა და თავის ქოხში წაიყვანა მოსარჩენად, თითქმის განთავისუფლდა თავის ჭრილობისაგან. მოვიდა თუ არა გონზე, პირველი იმის სიტყვა იყო: „ჩემი შვილებიო! სად არის ჩემი სამი შვილიო?“ მათხოვარმა თვითონ არ იცოდა, სად იყვნენ იმის ყმაწვილები. ჯერ კიდევ სრულიად მორჩენილი არ იყო ეს დედა-კაცი, რომ მიატოვა მათხოვრის სახლი და გამოსწია თავის შვილების საძებნელად. ვისაც შეხვდებოდა, ყველას დაეკითხებოდა: „ჩემი სამი შვილი, ერთი წლისა და ნახევრის, მეორე სამი წლის და მესამე ოთხი წლისა და ნახევრის, ხომ არ გინახავთ?“ ზოგს გიჟათ მიაჩნდათ, ზოგი ხმასაც არ სცემდა, სხვებს ებრალებოდათ, მაგრამ იმის კითხვაზე პასუხს ვერ აძლევდნენ. ბოლოს ერთმა გლეხმა უთხრა, რომ შენი შვილები უთუოდ იქ უნდა იყვნენ, სადაც ეხლა „მტრედის ფერებსა“ და „თეთრებს“ შუა ბრძოლა არისო ფუჟერის ტყე იკითხეო. დედა-კაცი დაადგა გზას და შეუსვენებლივ მიდის; დღე და ღამე იმისთვის ერთია, წვიმასა და ავდარს რას დასდევს, ის გადის ღელეებში, ტყეში, ჭაობებში პირ და პირ იქით, საითაც გლეხმა ფუჟერის ტყე მიუთითა; ფეხზე არა აცვია რა ფეხის გული და თითები ქვებისაგან და ეკლებისაგან, დასისხლებული აქვს; დაგლეჯილი კაბა ძლივს უფარავს გამხმარ სხეულს; ორი დღეა, იმას არა უჭამირა. რა დროს ჭამაა, რა დროს მოსვენებაა, როდესაც, დედას სამი შვილი, უკანასკნელი ნუგეში, ეკარგება. ის მიდის, მიდის შეუსვენებლად....

შავროვი. ჩვენ ერთხელვე შენიშნული გვაქვს, რომ ზოგიერთები კავკასიაში მხნევდებიან და გულადდებიან. ამ მოვლინებას თავისი მწარმოებელი მიზეზები აქვს. კავკასიაში ყოველთვის ჩხუბი და ომიანობა იყო, ამისთვის გასაკვირველი არა არის რა, რომ აქ კაცი გამხნევდეს და გულადი შეიქნეს. მაგრამ უფ. შავროვის გულადობამ ძლიერ შორს დატოვა ყოველი ნაირი გულადობა, თუმცაღა შესაძლოა, რომ უ. შავროვი სულ არ ყოფილიყოს ჩხუბში. მეტი აღარ ღირს უ. შავროვის სიმღერაზედ ლაპარაკი, ვიტყვით მხოლოდ, რომ მე არ ვიცი რა გრძნობით გამოვიდა უ. შავროვი სცენაზედ, მხოლოდ ვიქვნეულობ, რომ იმას სიმღერის დროს თან ხლებოდეს ან თავის მოყვარების და ან თავის ღირსების გრძნობა.

ქართულს წარმოდგენაზედ მე არას ვიტყვი, რადგან მე თითონ მივიღე მონაწილეობა. უ. ზეგიძემ აქაც დაამშვენა ჩვენი წარმოდგენა თავისი სიმღერით. არა ნაკლები მონაწილეობა მიიღო ამ წარმოდგენაში უ. თად. ზებური-შვილმა, რომელმანაც მშვენიერად წაიკითხა ორი თვისითვე შეთხზული გურული სცენები.

ა. ლ.

---

## წერილი რედაქტორთან!

უ. რედაქტორო! დროების 418 № ში ვიღაც ქუთაისელი პიტივ ცემული კორესპონდენტი თქვენს გაზეთში აცხადებს: „ქუთაისის და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლები თავისთვის კასსასა და მუდამ საჭირო ნივთებისა და ხორაგეულის მაგაზინს იკეთებენო, იმ აზრით, რომ თვითონ თავისი ცხოვრება გაიაფონ და თუ სარგებელი რამე შემოუვათ გარეშე მყიდველთაგან, იმითი წერა-კითხვისა და სწავლის გავრცელებას შეეწიონ“. ამ მოყვანილ სიტყვებში თქვენი რისხვა მქონდეს უ. რედაქტორო, თუ მომეტებულ ნაწილს სიცრუეს არ აცხადებდეს ქუთაისელი კორრესპონდენტი. ქუთაისის. შკოლისის მასწავლებლები კასსას „იკეთებენო“ მოჰყავს იმას. სტყუვის: ესენი არა თუ აპირებენ კასსის გაკეთებას, არამედ კიდეც გააკეთეს, მაგრამ იმ პირობაებით კი არა, როგორც სწერს ზემო მოყვანილ სიტყვებში. ჩანს უ. ქ. კორრესპონდენტს არ ესმის როგორ იხმაროს სიტყვა „გაკეთება“ წასრულ დროში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებს სრულებით არა ჰქონიათ სახეში, კასსაში შემოსრული სარგებლისაგან წერა-კითხვის გავრცელება. წერა-კითხვის გავრცელებას ხალხში, მე დარწმუნებული ვარ, ეს მასწავლებლები თანაუგრძნობენ და შეძლების დაგვარად ავრცელებენ, რომელსაც ცხადათ ამტკიცებს ისა, რომ ისინი თუმცა მცირე ჯამაგირზე ემსახურებიან, მაგრამ მაინც სინიდისიანათ მიჰყავთ სწავლის საქმე; და კასსაში შემოსრული სარგებლისაგან ვის შეწევიან ისინი, როდესაც თვითეულ მასწავლებელზედ შესატანათ კასსაში ყოველ თვეში სამ-სამი მანეთია დადებული. მასწავლებლები არიან სულ თოთხმეტნი. წარმოიდგინეთ ახლა, რა სარგებელი უნდა შემოვიდეს იმ ფულებისაგან, რომ წერა-კითხვის და სწავლის გავრცელებას შეეწიონ ისინი? — კასსის დადგენის დროს ამ მასწავლებლებს ამაზე სრულებით არა ჰქონიათ ლაპარაკი; იმათ მხოლოთ ის ჰქონდათ სახეში, რომ ერთი მეორეს ხელი გაუმართონ გაჭირვების დროს და ცოტა სარგებელი გარდიხადონ, მინემდის მეკირტუმს მისცენ თუმანზე სამი და ან ორი მანეთი თვეში. და რაც შეეხება იმას, ვითომც ქუთაისის სამეგრელო სასწავლებლის მასწავლებლები მუდამ საჭირო ნივთებისა და ხორაგეულის მაგაზინის გაკეთებას აპირებდნენ, ცხადი ტყუილია. ვანა დასაჯერია, რომ იმათ ეს აასრულონ? სად აქვთ იმათ იმდენი შეძლება? ოჰ! ღმერთო, რამდენნაირი ხალხია ამ ქვეყანაზე. ამ ცრუპენტელა კორესპონდენტის სიტყვებმა იქნება ზოგიერთი მკითხველი კიდეც დაარწმუნა. დიდათ ღირს ის კორესპონდენტი, რომელსაც ნამდვილ ფაქტებზე უყვარს ლაპარაკი. სხვათა შორის უ. კორესპონდენტი ამბობს: „სამეგრელოს სასწავლებლის მასწავლებლებიც კასსას იკეთებენო.“ ეს კი მართალია, აპირებენ გაკეთებას, მაგრამ იმა პირობებით კი არა, როგორც ფქავს ის, არამედ უფრო თავიანთი მოთხოვნილებები უნდათ დააკმაყოფილონ გაჭირვების დროს.

ქ-ლი.

ქუთაისი.

20 აპრილს 1874 წ.

---

# რუსეთი

— კოსტრომის გუბერნიაში ერთი უეზდის თავად-აზნაურობის წინამძღოლად გამორჩენილი დრამატურგი ა. ოსტროვსკი გამოურჩევიათ. ჩვენში უხეირო და უსაფუძვლო თავმოყვარეობისა გამო როდი ვიკადრებდით ამ გვარი წინამძღოლის გამორჩევას, რომ კიდეც გვყოლოდა ამისთანა შესანიშნავი კაცი. ჩვენში უფრო ჯაბით შესანიშნავს კაცებს ირჩევენ, და ამ ალრჩევის თანახმად ისინი წინამძღოლს „წინამძღომელს“ ეძახიან.

— პოლტავის ქალაქში ვიღაც ინგლისელები თავის ხარჯით ქვის თეატრის აშენებას აპირებენო. ამბობენ რომ 80 ათასი მანეთი დაეხარჯებათო ამ თეატრის ასაშენებლად. ეს ინგლისლები ქალაქისაგან ყოველ წლივ მხოლოდ $6\frac{1}{2}$ % გადახდას თხოულობენ $43\frac{1}{4}$ წლის განმავლობაში. ნეტავი ჩვენც გაგვიჩნდებოდეს ამ ნაირი კაცები და ქალაქის გამგეობაც ისეთი მუყაითი იქნებოდეს ყოველივე სამოქალაქო საქიროების დაკმაყოფილებაში, რომ ამგვარს კაცებს წესიერ გარანტიას მისცემდეს. მაშინ ჩვენი ტფილისის დაბალი ხალხი ბევრს კმაყოფილებასა და ამასთან სარგებლობასაც ნახავდა. ეს კმაყოფილება და სარგებლობა არც გაზისა და არც წყლის გაყვანაზედ ნაკლები არ იქნებოდა.

— იერუსალიმიდგან იწერებიან, რომ რუსეთიდგან და პოლშიდგან ებრაელები მოდიან აქ დასასახლებლადო. შარშან თითოეულს რუსეთის ცეცხლის გემს ოდესიდგან და ავსტრიისას — ტრიესტიდგან ორმოციდგან ორმოცდა ათ კომლამდის ურიები მოჰყავდათ. ამათგან მრავალი მდიდრები იყვნენ. ესენი მოსვლისათანავე ადგილებს ყიდულობდნენ და სახლებს იშენებდნენ. ეხლა იაფფის ქალაქისაკენ მიმავალ გზაზედ იერუსალიმს ამ გადმოსახლებულებისაგან ახალი უბანი გაუკეთდა. საკვირველი კი იქნება, თუ სხვა ევროპის ქვეყნებიდგანაც გადასახლდნენ და თავისი დაცემული ხალხობა აღადგინონ ებრაელებმა.

---

# უცხო ქვეყნები

### შავი მთა.

— ეს პატარა სათავადო თანდისთან წინ მიდის. ამ ცოტა ხანში იქ უნდა გაიხსნას მრავალი შკოლები, გამოიცეს ახალი კანონები, რომელთაც შედგენა თავადს ერთი პროფესორისათვის მიუნდვია. სენატი რომლის გამგეობაშიაც აქამდის შინ განი და გარეგანი საქმეები იყო, მოისპო თავადის ბრძანებით, და ამას იქით სენატი მხოლოდ უმაღლესი სამსაჯულო იქნება. ეს ცვლილება თავადმა იმიტომ მოახდინა, რომ სენატი ყოველივე ახალი წესის შემოტანის წინააღმდეგი იყო. ამასგარდა სენატორების რიცხვი ძრიელ შეამცირა თავადმა და რაც უწინ იმათ ჯამაგირად იხარჯებოდა, ის ფული შკოლებისა და გზების გასაკეთებლად უნდა მოიხმაროს.

### ესპანია.

— ბილბაოს ქალაქთან ხელახლა ომი გამართულა დონ-კარლოსისა და რესპუბლიკელ ჯარებს შორის. რესპუბლიკელი ლაშქრის მხედართ მთავარს გენერალს კონჩას გაუყრია თავის ადგილებიდგან დაბანაკებული დონ-კარლოსის ჯარები. ბოლონდელი ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ ძლევამოსილი რესპუბლიკის ჯარი კიდეც შესულა ბილბაოს ქალაქში.

---

# ნარევი

— მილანის ქალაქში 24 მარტს მრავალი ხალხი შეკლებილა მიცვალებულების დაწვაზედ მოსალაპარაკებლად. ეხლანდელი საექიმო მეცნიერება ამტკიცებს რომ დასაფლავების მაგიერ მიცვალებულების დაწვის შემოღებით ავათმყოფობა ძალიან უნდა შემცირდეს. ამიტომ კრებამ გარდაწყვეტილებით გამოსთქვა სურვილი, რომ პარლამენტმა კანონით ყველას, ვინც კი ინებებს, თავისი მიცვალებულების დაწვის უფლება მისცეს.

— რუსეთსა და საფრანგეთს შორის შეკრულის აღებმიცემითი პირობის ძალით, ყოველივე საფრანგეთის მწერალს, რომლის თხზულებასაც რუსეთში გადაბეჭდენ, უფლება აქვს სასყიდელი მოითხოვოს ამ წიგნის სდამბეჭდველისაგან. გადათარგმნილი წიგნების გამოცემისა და თეატრში წარმოდგენილი პიესებისათვის კი ავტორი ვერასფერს ვერ მოითხოვს.

— ავსტრიაში სახალხო შკოლები 15 ათასამდის ყოფილა, მასწავლებლები 25 ათასზედ მეტი, მოსწავლე ყმაწყილები ამ შკოლებში 2 მილლიონამდის. ვენგრიის სამეფოში სახალხო შკოლები 16 ათასამდის ყოფილა, ამათში 21 ათასამდის მასწავლებელი, და მილლიონი და 300 ათასი მოსწავლე. სახალხო შკოლებს გარდა სხვა სასწავლებლებიც რომ ვიანგარიშოთ ავსტრიისა და ვენგრიის საიმპერატოროში 6 მილლიონი მოსწავლე ყმაწვილია. ავსტრიაში 98 გიმნაზიაა და ამათში 25 ათასამდე მოსწავლე. 48 რეალური გიმნაზია და 64 რეალური შკოლა და ამათში 26 ათასამდე მოსწავლე. ვენგრიაში 155 გიმნაზია, ერთი რეალური გიმნაზია და 34 რეალური შკოლა, და ამათში 36 ათასამდე მოსწავლე ყმაწვილები.

— პირველი რკინის გზა 1825 გააკეთეს. ეხლა რკინის გზა მთელს დედამიწაზედ 223 ათასი ვერსტამდის ყოფილა. ყოველდღე ამ გზებით სამ ნახევარი მილლიონი მგზავრი დადის თურმე და 100 მილლიონამდის საქონელი გადააქვთ.

---

# განცხადებანი

უზრუნველ-მყოფელი საზოგადოება

## „ღუზა“-„ЯКОРЬ“

მოსკოვში.

საფუძვლად დადებულია და სრულიად შეტანილია 2,500,000 მანეთი.

სამმართველო.

თავს მჯდომარე: ვ. ი. ბარანოვსკი.
დირექტორები: ე. ი. ბისკუპსკი.
კ. კ. ბანზა.
ნ. ი. ილინი.
ნ. ა. აბრიკოსოვი.
მინდობ. მმართველი დ. ა. სენკოვიჩი.

ტფილისში საზოგადოების სააგენტო გაიხსნა 9 აპრილს და იღებს:

1. ცეცხლისაგან უზრუნველ-საყოფელად ყოველ გვარს მოძრავს და უძრავს ქონებას საზოგადოება უზღავს ყოველს ზარალს, რაც უეცრად ან მეხისაგან გაჩენილის ცეცხლის გამო მოხდება, აგრეთვე იმ ზარალსაც რომელიც უზრუნველ-ყოფილს ქონებას ცეცხლის გასაქრობად, ან იმის გავრცელების მოსასპობელად, მიღებული საშუალებით მიეცემა და ან რასაც უზრუნველ-ყოფილი ქონების პატრონი ამ ქონების ცეცხლისაგან დასაცველად, ან გადასარჩენად დახარჯავს.

2. უზრუნველ-საყოფელად გზაში მყოფს საქონელს (ტრანსპორტებს) როგორც რუსეთში, ისე მთელს ევროპაში.

უზრუნველ-მყოფელობის ვადა საქონლის მიღებიდგან იწყება და თავდება მიმღების ხელში გადაცემით. საზოგადოება კისრულობს პასუხის მგებლობას გზაში მოპარულის ან დაკარგულის საქონლისათვის. ამაზედ განსაკუთრებითი პირობები უნდა დაიდვას საზოგადოებასა და საქონლის პატრონებს შორის.

3. უზრუნველ-საყოფელად კაპიტალებს და ყოველივე შემოსავალს (სიცოცხლეს)

უზრუნველ-საყოფელი ტაქსა სხვა საზოგადოებაზედ უფრო ნაკლებია და ხარჯს დოქტორისაგან შესამოწმებლად და სხვასაც საზოგადოება თვითონვე კისრულობს.

4. ამ ახლო ხანში ყანების სეტყვისაგან უზრუნველ-საყოფელად მიღებაც დაიწყება.

სააგენტო არის ერევნის მეიდანზედ, ქალაქის შენობაში ტფილისს.

აგენტები ხ. ხაჩატურიანი და ი. ტერგრიგორიანი.

---

„მაქვს პატივი ვაცნობო კავკასიელ მეპატრონეთა, რომ მე გავმართე ქ. ქუთაისს ვაჭრობა საუკეთესო სამზღვარ-გარეთელის და ადგილობრივის თესლების: ბოსტნეულისა, ეკონომიურისა და ყვავილოვანისა. ქალაქს გარეთ მცხოვრებთ მებაღეობის მოყვარეთ შეუძლიანთ მოიქცენ ჩემთან ბარათით და ყოველი მათი თხოვნა შესახებ თესლებისა აღსრულდება დაუყონებლივ. თესლების სია შეუძლიანთ ყველამ მოიპოვოს უფასოთ. ი. ა. ბარტონი.

---

ქალაქს თბილისში
ვართანოვის წიგნების მაღაზიაში ისყიდება
მცენარეთა ლექსიკონი.
ლათინურს, რუსულს და ქართულს ენებზედ
შედგენილი თ. რაფ. დ. ერისთავის-მიერ.
ფასი 50 შაური.

---

ქალაქს ტფილისში,
სემინარიას ქვეშ სარდაფში ისყიდება
ნამდვილი ბუნებითი
კახური ღვინოები
თ. რ. და ი. ერისთავების
და სხვა კახეთის მემამულეთა ვენახებისა.
თვითოეული ბოთლის ფასი
ერთის აბაზიდგან მანეთ ნახევრამდინ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Мая 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა ზამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. — დროებითი რედაქტორი პ. ლორთქიფანიძე.